ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოჲ დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
11
ივლისი
№82 (10475)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურაში

## მუშაობა რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურამ განიხილა საკითხი ცაიშის, ოქტომბრის კოლმეურნეობებში და ზუგდიდის სამეურნეობათშორისო საკვებწარმოებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე სოფლისა და სატყეო საწარმოო გაერთიანების მიერ მომზადებულ ვრცელ ინფორმაციაში ნათქვამია:

ცაიშის კოლმეურნეობის გამგეობის მიერ ჩატარებული გარკვეული მუშაობის მიუხედავად ჩამორჩენაა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სფეროში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი მეჩაიეობაში. 108 ჰექტარი მოსავლიანი ჩაის პლანტაციის დიდ ნაწილში არაა ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები. კერძოდ გათვალისწინებულზე 50 პროცენტით ნაკლებია შეტანილი ფოსფოროვანი სასუქი, არც კალიუმიანი სასუქია მთლიანად შეტანილი. ჩაის ბუჩქები ჯეროვნად არ არის განოყიერებული აზოტოვანი სასუქით. საზამთრო გადაბარვა 93 ჰექტარის ნაცვლად ჩატარებულია 11 ჰექტარზე, მძიმე გასხვლა 10 ათასი გრძივმეტრის მაგივრად 1701 გრძივმეტრზე ნახევრად მძიმე გასხვლა 16.000 გრძივმეტრის ნაცვლად 1000 გრძივ მეტრზე. ეს სამუშაოები კი გათვალისწინებული ჰქონდათ მეორე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ბრიგადებს. არც ერთ საწარმოო ბრიგადაში არაა ჩატარებული კულტივაცია, გათოხნა გამოცელვა, სარეველებისაგან გაწმენდილია პლანტაციების მხოლოდ 20 პროცენტი.

ყოველივე ამის გამო პლანტაციებში შექმნილი მდგომარეობა მოუთმენელია. ზოგიერთი ფართობი იმდენად დასარეველიანებულია, რომ გაუვალი ხდება. ასეთი მდგომარეობაა მეხუთე ბრიგადაში რკინიგზის ცაიშის პლატფორმის უკან მდებარე 2 ჰექტარ ფართობზე, ონარიის საზღვარზე ტოროის უბანში. ანალოგიური ფაქტები გამოვლინდა მეორე, მეექვსე და მეშვიდე ბრიგადების პლანტაციათა ზოგიერთ კონტურებზე.

პლანტაციებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუტარებლობამ პირდაპირი უარყოფითად იმოქმედა ნედლეულის ხარისხზე. საყურადღებოა ისიც, რომ კოლმეურნეობაში სუსტია შრომის ორგანიზაცია, რის გამოც დაგვიანდა პლანტაციების პირველი გადაკრეფა. ლაბორატორიული შემოწმებით 29 ივნისს მოკრეფილ და ფაბრიკაში ჩაბარებულ ნედლეულში ნაზი ფრაქცია შეადგენდა 45 პროცენტს, დაჯოხიანება 20 პროცენტს, მინარევი 4 პროცენტს.

სასტიკი ჩამორჩენაა ნედლეულის დამზადების საქმეში. პირველი ივლისის მონაცემებით კოლმეურნეობაში მოკრეფილია 229 ტონა ნედლეული, ანუ 116 ტონით ნაკლები ვიდრე შარშან ამ დროს. საშუალო რაიონულ მაჩვენებლებს ცაიშელები ჩამორჩებიან 8 პროცენტით.

მზრუნველი ხელი აკლია სხვა მრავალწლიან ნარგავებსაც. მესამე და მეშვიდე ბრიგადის 13,5 ჰექტარ ციტრუსის პლანტაციებში ფოსფოროვანი სასუქი სანახევროდაა შეტანილი. გადაბარვის სამუშაოები ჩატარებულია მხოლოდ 7 ჰექტარზე. არ ჩატარებულა აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, როგორიცაა სასუქის ჩათოხნა, ორგანული სასუქის—ტორფის შეტანა, ტერასების გაწმენდა ეკალბარდისაგან. ციტრუსოვანთა ფართობების დიდი ნაწილი ენტომოლოგიური ღონისძიებების გარეშეა დარჩენილი.

დაფნის პლანტაცია კოლმეურნეობას ერიცხება 54 ჰექტარი. შარშან ეს ფართობი იჯარით იყო გაცემული კოლმეურნეებზე. მიმდინარე წელს კი დღემდე არ არის გადაწყვეტილი რა ფორმით გადაეცემა აღნიშნული პლანტაცია მოსახლეობას მოსავლელად. პლანტაციაში არ შესრულებულა ტექნოლოგიური რუკით გათვალისწინებული არც ერთი სახის სამუშაო, რის გამოც აქ 18 ჰექტარი ფართობი ძლიერ დასარეველიანებულია. ანალოგიური მდგომარეობაა 21 ჰექტარი ტუნგის პლანტაციაშიც. არც თუთის პლანტაციებშია გატარებული აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებები. მეშვიდე ბრიგადაში მეჩხერიანობა 30-35 პროცენტს შეადგენს. მეაბრეშუმეთა მოუნდომებლობისა და კოლმეურნეობის გამგეობის მხრიდან უკონტროლობის გამო აბრეშუმის პარკის დამზადების დავალება მხოლოდ 26 პროცენტითაა შესრულებული. 1355 კილოგრამის მაგიერ ჩაბარებულია 341 კილოგრამი პარკი.

მიმდინარე წლის მაისის თვეში პრეფექტურის დავალებით სპეციალისტების მიერ შესწავლილ იქნა მეცხოველეობის დარგში არსებული მდგომარეობა. საქმის ანალიზმა ცხადყო, რომ ცაიშელები ამ დარგშიაც ძალზე მოიკოჭლებდნენ. მეცხოველეობის დარგში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო ფერმის გამგე და ზოოტექნიკოსი განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან. გატარებული ღონისძიებების შედეგად მდგომარეობა თანდათან სწორდება მეცხოველეობაში, მაგრამ რაც დღემდე გაკეთდა სულაც არ არის საკმარისი. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ჯერ კიდევ დაბალია ხორცისა და რძის როგორც წარმოების ისე ჩაბარების დონე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალმა დონემ, წარმოების დავალებათა შეუსრულებლობამ უკიდურესად გააუარესა კოლმეურნეობის ფინანსური მდგომარეობა. ამჟამად კოლმეურნეობას ერიცხება ბანკის სესესხი 256 ათასი მანეთი და ვადაგადაცილებული დავალიანება 224 ათასი მანეთი. გარდა ამისა გრძელვადიანი სესხი 1.109 ათასი მანეთი. ასეთ პირობებში, როდესაც მიღებულ კრედიტებზე კოლმეურნეობა ბანკის გადიდებულ პროცენტებს იხდის, ერიცხება დებიტორული დავალიანება 121,9 ათასი მანეთი.

პროდუქციის წარმოების დაბალი დონე და არამწარმოებლური ხარჯებისადმი უკონტროლობა იწვევს თვითღირებულების გადიდებას. მაგალითად შარშან ერთი ცენტნერი ჩაის თვითღირებულება გაზრდილია 6 მანეთით, სიმინდის მარცვლისა 23 მანეთით, რძისა 8 მანეთით, ხორცისა 239 მანეთით.

ანბანური ჭეშმარიტებაა საზოგადოებრივი მეურნეობის, საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული კოლმეურნეობის წევრთა შრომით აქტივობაზე. სამწუხაროდ ასეთი აქტივობა დღესდღეობით ცაიშში არ შეინიშნება. მაგალითად მაის-ივნისში ჩაის კრეფაში მონაწილეობა მიღებული აქვს კოლმეურნეობაზე რიცხული მუშახელის ნახევარზე ცოტათი მეტს. მიზეზი კი კოლმეურნეობის გამგეობის, აგრონომიულ ეკონომიკურ და სხვა სამსახურების მომთხოვნელობის შესუსტებაში, უუნარობაში უნდა ვეძიოთ.

ოქტომბრის კოლმეურნეობაში სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისა და მომსახურების ორგანიზაციის საქმეში შექმნილია უკიდურესად ცუდი მდგომარეობა.

შრომის არასწორი ორგანიზაციისა და უპასუხისმგებლობის გამო კოლმეურნეობის გამგეობის, მისი სამმართველო აპარატის საქმიანობა სავსებით ვერ პასუხობს დღევანდელობის მოთხოვნებს. თვითდინებაზეა მიშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-დამუშავების და მეცხოველეობის განვითარების საქმე.

კოლმეურნეობაზე რიცხული სახნავი მიწის ფონდი ეფექტიანად არაა გამოყენებული. უგულებელყოფილია საიჯარო ფორმა, 84 ჰექტარი სიმინდის ნათესის მესიმინდეებზე გაპიროვნების ხელშეკრულებები დღემდე არაა გაფორმებული. ამიტომ გლეხისათვის დღესაც გაურკვეველია მიმდინარე წლის მოსავლიდან როგორ ანაზღაურებას მიიღებენ როგორც ფულად ისე ნატურით. ბუნებრივია საქმისადმი ასეთი მიდგომა მესიმინდეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. დანაკარგებია საკვები კულტურების მოსავლის აღებაში. ბოსტნეულისათვის გამოყოფილი ფართობები დღემდე დამუშავებული არ არის.

მიმდინარე წელს ჩაის პლანტაციებში მხოლოდ გასხვლაა ჩატარებული. ფართობების დიდი ნაწილი გადაბარვის, გათოხნა კულტივაციის, ეკალბარდისაგან გაწმენდისა და გამოხელვის გარეშეა დატოვებული. ოირემეს უბანში 15 ჰექტარი მოსავლიან ჩაის ფართობზე არავითარი აგროტექნიკური ღონისძიება არ ჩატარებულა. ამასთან ეს ფართობი დოიმდე არაა გაპიროვნებული მეჩაიეებზე. შემოწმების მომენტისათვის № 4 ბრიგადის 6 ჰექტარი პლანტაცია მთლიანად გვიმრით იყო დაფარული. ახალგაზრდა პლანტაციებში სხვა კულტურები იყო ჩათესილი და მის მოვლაზე არავის უფიქრია. ახალგაზრდა პლანტაციების სიმეჩხრე 30-40 პროცენტს აღწევს. ნაწილი პლანტაციებისა კი პირუტყვის საძოვრადაა ქცეული.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა კოლმეურნეობის გამგეობა, აგროპერსონალი და სხვა სამსახურები დაუდევრობას იჩენენ და პლანტაციების მოვლა დამუშავების საქმე კონტროლის გარეშე აქვთ მიტოვებული. საიჯარო ურთიერთობა მეიჯარეებთან ფორმალურია და მათ არავითარი პასუხი არ მოეთხოვებათ პლანტაციების მოუვლელობისათვის. აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებების გაუტარებლობისათვის კოლმეურნეობაში არ აღმოჩნდა აგროპერსონალისა და ბრიგადირების მიერ შემოტანილი არც ერთი აქტი. საერთოდ კოლმეურნეობის გამგეობას ეს საკითხი არც კი განუხილავს, რომ არაფერი ვთქვათ მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

მეჩაიეთა საქმიანობა მოკლებულია კოლმეურნეობის გამგეობისა და სპეციალისტების მხრივ კონტროლს, ზედამხედველობას, შედეგებიც სახეზეა. ადგილი აქვს ჩაის გადაუკეთებას და დიდძალ დანაკარგებს. პირველი ივლისისათვის მოკრეფილი იყო 380 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ეს კი 103 ტონით ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდში მოკრეფილთან შედარებით. შემოწმების მომენტისათვის კოლმეურნეობა 4 პროცენტით ჩამორჩება რაიონის საერთო მაჩვენებელს. უკიდურესად დაბალია მოკრეფილი ნედლეულის ხარისხი როგორც ლაბორატორიულმა გამოკვლევამ ცხადყო მოკრეფილ ფოთოლში დაჯოხიანებულია 30 პროცენტი. მოუხეშოა 65 პროცენტი.

კოლმეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მრავალწლიანი კულტურების მოვლა-პატრონობის საქმეს. 64 ჰექტარ თხილის პლანტაციაში საიდანაც 28 ჰექტარი მოსავლიანია, მიმდინარე წელს არ ჩატარებულა არცერთი სახის აგროტექნიკური ღონისძიება. 6 ჰექტარი დაფნის პლანტაცია კი დაფარულია ეკალბარდითა და ანწლით. მოუვლელია 4 ჰექტარი ციტრუსის პლანტაცია, ხოლო ერთი ჰექტარი ტუნგის ნარგავები ყურადღების მიღმაა დატოვებული. 12 ჰექტარ თუთის პლანტაციიდან 6 ჰექტარი მოსავლიან ასაკშია, მაგრამ სამწუხაროდ იგი მოუვლელია. თუთის ხეები დაავადებულია, ნაწილი ნარგავებისა გახმობამდეა მისული. მეთუთეობისადმი უყურადღებობამ უარყოფითად იმოქმედა აბრეშუმის გამოკვებაზეც. აქ 46 კოლოფიდან მეაბრეშუმეებზე გაიცა 30 კოლოფი მური. აქედან 4 კოლოფი მექანიკურად განადგურდა, ხოლო 3 კოლოფი დაავადების გამო მოისპო. პირველი ივლისისათვის აბრეშუმის პარკის დავალება შესრულდა 24 პროცენტით, მაშინ როცა რაიონის საშუალო მაჩვენებელი 51 პროცენტს სჭარბობს.

საგანგებო მდგომარეობაა შექმნილი მეცხოველეობის დარგში. ფერმის გამგე და ზოოტექნიკოსი

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშაობა რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს

(დასასრული)

აბსოლუტურად ვერ ფლობენ სიტუაციას. ისინი იმის პროგნოზირებასაც ვერ იძლევიან თუ რამდენი უნდა აწარმოონ რძე და ხორცი, რამდენი უნდა მიიღონ ნამატი. უგულვებელყოფილია ფერმის მუშაკებთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების საქმე. ადგილი აქვს უყაირათობისა და თვალის ახვევის ფაქტებს. 17 ივნისიდან 28 ივნისამდე საკვების ხარჯვის უწყისით ფერმაში გაწერილია 28 ტონა სილოსი, მაშინ როდესაც ფაქტიურად პირუტყვისათვის იგი არც კი მიუციათ. რძის წველის უწყისის მიხედვით შემოწმების მომენტში იწველებოდა 87 ფური. საკონტროლო წველის ჩატარებისას კი გამოვლინდა დამატებით 18 მეწველი ფური. რძის ჩაბარების წლიური დავალება შესრულებულია 48 პროცენტით, ხოლო ხორცი ჩაბარებულია მხოლოდ 5 ტონა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ასეთმა დაბალმა დონემ კოლმეურნეობის საფინანსო ეკონომიკურ მაჩვენებლებში იჩინა თავი. შარშან კოლმეურნეობამ წინა წელთან შედარებით 181 ათასი მანეთით შეამცირა წმინდა შემოსავალი, ხოლო რენტაბელობის დონე 15 პროცენტით.

კოლმეურნეობის გამგეობის მიერ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის ანალიზი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ დაძლეული იქნება სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში არსებული ჩამორჩენა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. სვირავა, მთავარი აგრონომი ბ. ქირია, მთავარი ეკონომისტი ზ. გვასალია ვერ [illegible] საწარმოების თვითმმართველობის პირობებში მართვის ბერკეტებს.

ზუგდიდის სარაიონთაშორისო საკვებწარმოების გაერთიანება, რომელიც სპეციალიზებულია კომბინირებული საკვებისა და ვიტამინიზირებული ბალახის ფქვილის წარმოებაზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს რაიონის მეცხოველეობის განვითარების საქმეში. წლების მანძილზე სტაბილურად მუშაობდა და მეცხოველეობის ფერმების მოთხოვნილებას დეფიციტურ კომბინირებულ საკვებზე საგრძნობლად ავსებდა. საკმარისია ითქვას, რომ მასზე მოდიოდა მოხმარებული კომბინირებული საკვების 40-45 პროცენტი, რაც საშუალოდ წლის განმავლობაში 3500-4000 ტონაა.

მიუხედავად აღნიშნულისა გასული წლიდან და განსაკუთრებით მიმდინარე წელს გაერთიანების შრომითი კოლექტივის საქმიანობა ვერ პასუხობს მიმდინარე მომენტის მოთხოვნებს. ეს ხდება მაშინ როდესაც სახალხო მეურნეობაში თანდათან ფეხს იკიდებს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპები, როდესაც თითოეულ საწარმოს უნარიან, ინიციატივიან მუშაობაზეა დამოკიდებული შედეგები მეცხოველეობაში. საკვებწარმოების გაერთიანების საქმიანობაში კი ბევრი რამ პირიქით ხდება. აქ შეინიშნება უპასუხისმგებლობის, მინდობილი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების ფაქტები. აღნიშნული გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ აქ ერთი სამად შემცირდა კომბინირებული საკვების წარმოება. ქარხნის სიმძლავრე სანახევროდაც არ არის ამოქმედებული. აქ დასაქმებული მუშების გამომუშავება მინიმუმამდე დაეცა, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. გაუარესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ქარხნის საამქროების სანიტარული პირობები ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნებს.

მიმდინარე წელს გაერთიანებამ უნდა გამოუშვას 2200 ტონა კომბინირებული საკვები და 200 ტონა ბალახის ფქვილი. განვლილ ექვს თვეში კი გამოშვებულია 591 ტონა, ანუ პროგნოზით გათვალისწინებულის 27 პროცენტი. ბალახის ფქვილი კი დღემდე სულ არ უწარმოებიათ და არც პერსპექტივაშია მოსალოდნელი მისი გამოშვება. გაერთიანების ხელმძღვანელთა პასიურობის შედეგად ქარხანას ბოლო 25 დღის მანძილზე ფაქტიურად არ უმუშავია. კომბინირებულ საკვებზე დეფიციტი კი დღითიდღე უფრო მატულობს. ასეთი დეფიციტის პირობებში ქარხნის დირექციას მიმდინარე წლის გამოშვებული პროდუქციიდან 59 ტონა საკვები თავის თანამშრომლებზე აქვს გაცემული.

შექმნილ ვითარებაში, როცა ქარხნის საპროექტო სიმძლავრე სანახევროდაც არ არის დატვირთული, ადმინისტრაციული სამმართველოს პერსონალის შენახვის ხარჯები ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას და გამოშვებული პროდუქცია ძვირდება.

არ არის ჯეროვანი წესრიგი გამოშვებული პროდუქციის გეგმაზომიერად განაწილების საქმეში. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობას, როგორიცაა ახალსოფლის, ყულიშკარის, ნარაზენის, ცაიშის, ჭითაწყარის კოლმეურნეობები, ანაკლიის, ინგირის, განმუხურის, ონარიის დარჩელის მეურნეობები, კუთვნილი ფონდები არა აქვთ ათვისებული, ხოლო კახათის, კოკის, რუხის, შამგონის, ჩხორიის, ურთის, ჭაქვინჯის, ჯიხაშკარის კოლმეურნეობებს, ნარაზენისა და ორულუს მეურნეობებს კომბინირებული საკვები დაშვებულ ფონდზე ზევით აქვთ გატანილი.

არალანიშნულებისამებრ და არაეფექტურადაა გამოყენებული საკვებწარმოების გაერთიანებაზე გადაცემული 150 ჰექტარი მიწა. მათ შორის 85 ჰექტარი სახნავი. შარშან ამ ფართობზე 60 ჰექტარი შვრიით იყო დაკავებული, ხოლო 35 ჰექტარი მრავალწლიანი ბალახებით. შვრიის ნათესიდან 1125 ტონის ნაცვლად მიიღეს 60 ტონა, ხოლო მრავალწლიანების ნათესებიდან 900 ტონის მაგიერ მხოლოდ 350 ტონა მწვანე მასა.

ანალოგიური მდგომარეობაა მიმდინარე წელსაც. 50 ჰექტარი დაკავებული აქვს შვრიის ნათესებს. მრავალწლიანი ბალახების ფართობი შეამცირეს 10 ჰექტარამდე. დანარჩენი 35 ჰექტარი სამარცვლე სიმინდის მოსაყვანად დაურიგდა ქარხნის მუშამოსამსახურეებს, ისე რომ მესიმინდეებთან ხელშეკრულება არც კი გაუფორმებიათ.

მოუვლელობისა და საერთოდ აგროტექნიკურ ღონისძიებათა უგულებელყოფის შედეგად დაბალია ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობა, ხოლო დანახარჯები ერთიორად და უფრო მეტად არის გაზრდილი.

აგრონომიული, საზუტ[illegible] და ეკონომიკური სამსახურების დაუდევრობის შედეგად ადგილი აქვს არამწარმოებლური ხარჯების ზრდას და საკოლმეურნეო ქონების [illegible] ფაქტებს. მარტო შარშან ხელფასის გადახარჯვამ 25,8 ათასი მანეთი შეადგინა. ერთი ტონა ვიტამინიზირებული ბალახის ფქვილის თვითღირებულება გაიზარდა 23 მანეთით, მწვანე მასისა 3,4 მანეთით. ვაგონების მოცდენისათვის გაერთიანებას შარშან გადახდილი აქვს 533 მანეთი, მიმდინარე წელს კი 2703 მანეთი. მომწოდებლებისათვის [illegible] დროულად გადაუხდელობის გამო საურავმა შეადგინა 1352 მანეთი.

გაერთიანებაში 1990 წელს ინვენტარიზაცია ზერელედაა ჩატარებული. მატერიალურ პასუხისმგებელ პირებზე მეტობა ან ნაკლებობა არაა გამოყვანილი და ინვენტარიზაციის შედეგები არც კი ყოფილა განხილვის საგანი. ანალოგიური მდგომარეობა მიმდინარე წელსაც გრძელდება.

უკონტროლობასა და დაუდევრობის შედეგია ისიც, რომ გაერთიანებას დღემდე ერიცხება წინა წლებში მიღებული 84.685 კილოგრამი 14.197 მანეთის ღირებულების ფოსფატის ნაშთი, რომლის შენახვის ვადა გასულია და ფაქტიურად უვარგისია შემდგომი გამოყენებისათვის.

ასევე გასული წლის წყალდიდობის მიზეზით განადგურებულად არის ნაჩვენები 80 ტონა ნედლეული, მზესუმზირის შროტი, რომლის ღირებულებაა 11.725 მანეთი, ეს ყოველივე დირექტორის ბრძანების გარეშე ჩარაღშია ჩამოწერილი, თანხა კი აღდგენილია სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ.

საკითხის შესწავლის პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად საწყობში გამოვლინდა 294 კილოგრამი მზესუმზირის შროტის, 367 კილოგრამი სოიოს მარცვლის და სხვა ნედლეულის დანაკლისი.

შარშან საწარმოს რენტაბელობის დონე სულ რაღაც 0,4 პროცენტს აღემატებოდა. და არც მიმდინარე წელს უჩანს კარგი პირი. თუ გაერთიანებამ იმ ტემპით იმუშავა, როგორც დღემდე, მოსალოდნელია საწარმომ მიმდინარე წელი ზარალით დაამთავროს. პირველი ივნისის მონაცემებით აქ დებიტორული დავალიანება 31.158 მანეთია, კრედიტორული დავალიანება კი 10.218 მანეთი.

ცაიშის, ოქტომბრის კოლმეურნეობების და საკვებწარმოების გაერთიანების სამეურნეო საფინანსო საქმიანობაში არსებული უხეში დარღვევების, საიჯარო ურთიერთობათა უგულებელყოფის, უკონტროლობისა და მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, რომელმაც გამოიწვია ჩამორჩენა ყველა დარგში, პრეფექტურის მიერ განთავისუფლებით იქნენ დაკავებული თანამდებობიდან ცაიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. რევია და საკვებწარმოების სამეურნეობათშორისო გაერთიანების თავმჯდომარე ა. ბერიძე, ხოლო ოქტომბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. სვირავა პირობით [illegible] დატოვებული თანამდებობაზე.

ცაიშის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომის გვათუას, მთავარი ეკონომისტის კ. წიწავას ოქტომბრის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომის ბ. ქირიას, მთავარი ეკონომისტის ზ. [illegible], საკვებწარმოების გაერთიანების უბნის აგრონომის ჯ. მამფორიას, წარმოების უფროსის რ. მახარიას და მთავარი ეკონომისტის რ. ქარჩავას დაკავებულ თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ საკითხი დამატებით განხილვისათვის გადაეგზავნა [illegible] ორგანოებს.

---

# როცა საკრებულოს ტოვებენ

ჩვენს ბავშვობაში ყოველწლიურად იმართებოდა დარჩელში სახალხო დღესასწაული ძარაშიხითა. აგვისტოს ბოლოს ძარულათი მთავრდებოდა ეს ზეიმი. ძარულაზე საუბრისას ყველას პირზე ეკერა „კუჩხუს ცხენი“. სოფელი დღე ფეხდაფეხ დასდევდით კოკიდას მოძავალ კუჩხუ გელენავას და მის ცხენს, რომელიც წლების განმავლობაში არ თმობდა პირველობას.

დრომ მაინც თავისი მოიტანა. მჯობნის მჯობნი აღმოჩნდა. კუჩხუს ცხენის გულშემატკივრები ვერ შეურიგდნენ პირველობის დათმობას. ბოლო ორი-სამი წრე რომ დარჩებოდა, დაღლილ და ჩამორჩენილ ცხენს ჩააფრინდებოდნენ ალვირში თუ მოსართავებში გულშემატკივარი ცხენოსნები და მიათრევდნენ ფინიშის ადგილისაკენ, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

ანალოგიური ვითარება წარმოგვიდგება დღეს დარჩელში, ოღონდ არა მარაშინობაზე, არამედ სოფლის საკრებულოს სესიაზე. რა მოხდა? რა არის მიზეზი?! რატომ გაჭიანურდა საკრებულოს გამგებლის არჩევა, როცა მდივანი პირველ სესიაზევე იქნა არჩეული?

მიზეზი იციან დარჩელელებმა და უკვირთ კიდეც, როგორ დაკარგეს ზოგიერთებმა ზომიერების, სირცხვილისა და სამართლიანობის გრძნობა. ან იქნებ სარფიან თანამდებობად მიაჩნიათ, ან სოფლისა და თანასოფლელთა სიყვარული წარმართავს მათს ლტოლვას თანამდებობისათვის?

არა, სოფელმა კარგად იცის, ვინ ვინ არის. ვინ ვის უმაგრებს ზურგს და ისევ ცდილობს ძველი გზით იაროს, რადგანაც მიჩვეული იყო პროტექციით, მოსყიდვით, საქმის ჩაწყობით, ყოველგვარი მორალურისა და ეთიკურის ფეხქვეშ გათელვის ფასად სიმაღლის მიღწევას.

სწორედ დღეს, ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი მედროვეები ცდილობენ ილაპარაკონ ახლებურად და იმოქმედონ ძველებურად. თუ დასჭირდათ, მაღალი თანამდებობების პირის სახელითაც ილაპარაკებენ და წუთითაც არ დაფიქრდებიან, როგორ ბღალავენ სხვათა ღირსებას.

დარჩელელებს კარგად ახსოვთ ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვები დარჩელის საზოგადოებისა და მეზვედრის ორგანიზატორთა მისამართით ნათქვამი და უკვირთ, საიდან, როგორ გამოჩნდნენ ახლა არენაზე ისინი, რომლებიც დარჩელელ აქტივისტებს ციხეზეც უწვავდნენ.

„...ერთი მისხალი არ დავუთმოთ იმათ, ვინც დაბრკოლებად აღმართულა თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე“. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული პრეფექტებისადმი მიმართვის ეს სიტყვები უნდა გაითავისოს თითოეულმა ჩვენთაგანმა, რომ არ მოუხდეთ საკრებულოს დატოვება ამომრჩეველთა ნდობით აღჭურვილ პირებს.

26 წევრიდან დარჩელის საკრებულოს პირველი სესია დატოვა 8 კაცმა, სანამ პრეფექტურის წარმომადგენელი დაასახელებდა კანდიდატურებს გამგებლის თანამდებობაზე. დღემდე არავის მოსვლია აზრად, გაერკვიათ, რატომ გადადგეს ასეთი ნაბიჯი საკრებულოს წევრებმა. საკრებულოს დატოვება ხომ არ არის დათმობა, როცა გვეუბნებიან „ერთი მისხალიც არ დათმოო“.

რამ აიძულა შრომის ვეტერანი დასწავლებელი ვლადიმერ ჟიჟბაია სესიაზე ეთქვა: „მე ხანდაზმული კაცი საკრებულოში სიმართლის სათქმელად ამირჩიეს. ამბიციების მოყვარულთ ვერ შევეწყობი. ამიტომ ვტოვებ საკრებულოსო“.

სოფლის მოსახლეობა ექვის თვალით უყურებს არა გამგებლობის კანდიდატებს, არამედ მათ ზურგს ამოფარებულებს...

არაა საჭირო კუჩხუს ცხენივით ვიხმეს ძალით თრევა ფინიშის ადგილისაკენ. ღირსეულთ ხალხის მხარდაჭერა არ მოაკლდება.

ახთანგ არხანია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტელექტი წიგნით იზომება

**„საქწიგნის“ ზუგდიდის №1 მაღაზიაში მუდამ ხალხმრავლობაა. დიდი ინტერესით ელიან ყოველი ახალი წიგნის გამოჩენას ზუგდიდელი ლიტერატურის მოყვარულები. მაღაზიის მუშაკთა წინაშე წამოჭრილ პრობლემებსა და სამომავლო ამოცანებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა მაღაზიის გამგე მ ა ნ ო ნ შ ა ნ ა ვ ა.**

—ბრძენთაგან თქმულა: „წიგნი არის ცოდნის შემნახავი და გამავრცელებელი, საზრდო სულიერი... მიუბოძე იგი მოყვასსა შენსა და დაუამებ ამით სულს, მოჰგვრი სიამეს... იგივეს იგრძნობ შენც“. გაძლევთ თუ არა საკუთარი მაგალითი ამ სიტყვების გამეორების უფლებას?

—წიგნის ნამდვილ მეგობართან შეხვედრა ყოველთვის ამაღლებულ განწყობილებას ქმნის. გულწრფელად ვამბობ, მკითხველს ადვილად შევატყობ თუ ვინ არის იგი. წიგნს „პატრონი“ არასდროს არ გამოელევა. მაგრამ ერთია თაროს დამშვენება „ლამაზი წიგნით“ და სხვა—ვინ იძენს მას. სახელგამში მომსვლელთ მეტ-ნაკლებად ვიცნობთ, ყოველ შემთხვევაში გვყავს მყიდველთა კატეგორია, შეიძლება უმცირესობაც, რომელთანაც შეხვედრა უდიდესი სიამოვნებაა.

—თქვენი საქმიანობა ეხება ისეთ სათუთ განძს, ურომლისოდაც ადამიანის გონება წინ ვერ წაიწევს. ვფიქრობ, მას სერიოზული დაბრკოლებები არ უნდა აკავებდეს, და მაინც, რა პრობლემებია და აქედან გამომდინარე, რა ამოცანები გაქვთ დასახული?

—წიგნების უქონლობა, რაც ადრე გვაწუხებდა, ამჟამად მოხსნილია. ამაში ალბათ ისიც დაგვეხმარა, რომ გამოყოფილია მანქანა. სხვა წვრილმან პრობლემებსაც გავუძლებთ, მაგრამ თავად სამუშაო ადგილზე — შენობაში შექმნილი სიტუაციაა ძალიან დამაფიქრებელი. მუშაობა გვიხდება არახელსაყრელ პირობებში, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფასადის დანესტიანება სერიოზულად ემუქრება წიგნებს. ამდენად, უპირველესი პრობლემა შენობის წესრიგში მოყვანაა.

რაც შეეხება ჩვენი მუშაობის პერსპექტივას, იგი არც ისე საძნელოა, როგორც ერთი შეხედვით. როცა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაზეა საუბარი, უსათუოდ ყურადღების ცენტრში ექცევა მისი ინტელექტი, რაც ყველაზე მეტად წიგნით იზომება. სხვა რომ არაფერი, ჩამოსული სტუმრები ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებასთან ერთად დროს ყოველთვის იტოვებენ, რათა ესტუმრონ წიგნის მაღაზიას. პირველ რიგში, სწორედ ეს გვქონდა მხედველობაში, როცა განვიზრახეთ მაღაზიის რეკონსტრუქცია, რათა შეიქმნას მყუდრო, მოხერხებული სალონი, სადაც მკითხველები, წიგნის ერთგული მეგობრები მიიშურებენ არა მხოლოდ წიგნის შეძენის მიზნით, არამედ მშვიდ კულტურულ ატმოსფეროში აზრთა ურთიერთგაცვლის განზრახვითაც. ვფიქრობ, ეს მოსაზრება ქალაქის კულტურული ცხოვრებისთვისაც არ იქნება უსარგებლო.

გარდა ამისა, ჩაფიქრებული გვაქვს საინტერესო შეხვედრების გამართვა ავტორებსა და წიგნის მოყვარულებთან, სხვადასხვა გამომცემლობების წარმომადგენლებთან.

—ბუნებრივია, მომსვლელებს საინტერესო სიახლით უნდა შევხვდეთ. რას სთავაზობთ წიგნის მოყვარულებს?

—ჩვენ თითქმის ყოველთვის მზად გვაქვს ვასიამოვნოთ ჩვენი მაღაზიის სტუმრები. ამჟამად წიგნის თაროს ავსებს სხვადასხვა სახის წიგნი. მართალია, ბოლოს ცოტათი დაგვიგვიანდა გამოსული წიგნების მიღება, მაგრამ, იმედია, ეს ხელს არ შეუშლის წიგნის მოყვარულებს გაეცნონ მათ. ვფიქრობ, მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება როგორც ნ. ჟორდანიას „ჩემი წარსული“, მ. კოსტავას „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, ი. რეხვიაშვილის, ჯ. ჯალიაშვილის, ფ. ხოჭოლავას „პოლიტოლოგია“, ი. ჯავახიშვილის „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, ისე თარგმნილი ლიტერატურა — პატრიკ ანდერსონის „პრეზიდენტის საყვარელი“, მარკიზ დე კიუსტინის „ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი“ და სხვ. ამასთან, ბუკინისტური თარო, რომელიც ახლახან შემატა სხვა სახის წიგნის განყოფილებებს, უკვე შეივსო საინტერესო წიგნებით, რაც მკითხველის მოთხოვნილებებს შესაფერისად დააკმაყოფილებს.

ამდენად, ჩვენი სახელგამი მოკრძალებულად სთავაზობს წიგნის მოყვარულებს საინტერესო წიგნებს. ვფიქრობთ, არც ძველი მეგობრები დაგვივიწყებენ.

საუბარი ჩაიწერა რუსუდან მიქენაიამ.

---

ზუგდიდს — მაქსიმალური სიმწვანე!

# ყოველი ჩვენგანის საზრუნავი

ყველასათვის ცნობილია ის მავნე გავლენა, რასაც საზოგადოება განიცდის სამრეწველო ნარჩენებითა და მოწამლული აირებით გაჭუჭყიანებული გარემოსაგან. საშიშროება აუზის გაბინძურების ძირითადი წილი ავტოტრანსპორტზე მოდის.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქალაქში? —არც თუ სანუგეშო. ცენტრალურ ქუჩებში უკვე იგრძნობა ავტომობილების მიერ სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებების გამობოლქვა. დროა, უფრო მკაცრად მოეთხოვოს ტექნიკურად გაუმართავი მანქანების ექსპლოატაციის მოყვარულთ. ასევე საგანგებო ზომები უნდა გაატარონ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მესვეურებმა, რომელთა ნარჩენებით დღემდე ბინძურდება ჰაერი, თუ წყალი. გაწმენდილი ნაგებობების, მაზუთდამჭერების გარეშე დღეს საწარმოს ფუნქციონირება დანაშაულს უდრება.

ეკოლოგიური სიჯანსაღის საწინდრად მწვანე საფარი მიაჩნია. მინდა ერთხელ კიდევ შევახსენო ჩვენს თანამოქალაქეებს, რომ ერთადერთი ჩვენი წმინდა ტყეა, მდელოები და ბაღები.

განა შეიძლება დავშვიდდეთ უცქეროთ იმას, რომ ჩვენი ქალაქის შემოვარენი გაუტყეურებულია, ხოლო შიგნით გამწვანების მდგომარეობა ვერ პასუხობს სასურველ ნორმებს.

საქმეს არ შველის ზოგიერთი მოქალაქის მიერ მხოლოდ საკუთარი ეზოს გამწვანება. საჭიროა ხე ჩვენი საკარმიდამო ეზოების წინაც დავრგოთ. ამ მხრივ კარგად გამოიყურება რუსთაველის, ლერმონტოვის, სვანეთის, კოლხეთის და ზოგიერთი სხვა ქუჩა. დიდ საქმეს გავაკეთებთ, თუ მათ მივბაძავთ. და საერთოდ, წამოსაწყებია საყოველთაო ლაშქრობა ქუჩების მასიურად გამწვანებისათვის.

ვისაც ზუგდიდი უყვარს, ის უცილოდ შეიტანს თავის კონკრეტულ წვლილს მწვანე ქალაქად მისი გადაქცევის კეთილშობილურ საქმეში.

ე. ფაშავა,
ჩვენი კორ.

---

ინფორმაცია

# არენდატორის წვლილი

ნარაზენის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკები კარგა ხანია არენდული წესით მუშაობენ. გაიზარდა მწველავის, მომვლელის თუ მეხბორის ხაზლაური, ამიტომ ყველა მეტ ინტერესს იჩენს საქმისადმი, რაც წარმატების საწინდარია.

არენდატორმა მ. ბიგვავამ ნახევარ წელს გათვალისწინებული 48 ტონის ნაცვლად 57 ტონა რძე ჩააბარა სახელმწიფოს, წლის ბოლომდე კი ეს ციფრი 200 ტონამდე გაიზრდება.

მეცხოველეები აპოლონ, მერაბ, ნორა და ბესიკ ბერიშვილები მისაბაძ მაგალითს იძლევიან შრომაში. თითოეული 15-16 ძროხას უვლის.

აღმავლობაა ხორცის წარმოებაში. არენდატორებმა ნახევარ წელს გათვალისწინებული 81 ტონის ნაცვლად 82 ტონა ხორცი ჩააბარეს სახელმწიფოს.

---

# ზუგდიდის სარაიონთაშორისო სახელმწიფო თევზდაცვის ინსპექციის მ ი მ ა რ თ ვ ა ქალაქისა და რაიონის მოსახლეობისადმი, ყველა ზუგდიდელისადმი

ბუნება სიცოცხლის უშრეტი წყაროა. მისი დაცვა მთელი საზოგადოების, კეთილი ნების ყველა ადამიანის ღვიძლი საქმეა. ეს ჭეშმარიტება ყველამ იცის, მაგრამ ზოგიერთი მოქალაქე ზიანს აყენებს მხარის ფლორასა და ფაუნას. ჯერ კიდევ გვხვდება მდინარეების გაბინძურების თუ თევზჭერის წესების დარღვევის ფაქტები, რისთვისაც დამნაშავეს სჯის კანონი.

თევზის მარაგის დაცვის, მისი იშვიათი ჯიშების გადარჩენის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია მოსახლეობის მხარდაჭერით გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ანაკლიის უბანში ზღვაში გასვლის ნებართვაზე უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი. კერძო პირებს ზღვაზე გასვლის ნებართვა მიეცეს გრაფიკის მიხედვით.

თევზის დაცვის, მისი იშვიათი ჯიშების გადარჩენის მიზნით ზღვაზე თუ საკოლმეურნეო ბაზარში მოეწყოს რეიდები. ტბა მდინარე ჭურიაზე აღმოიფხვრას აკრძალული სარეწი იარაღების გამოყენების შემთხვევები. ჭურია და მისი მიმდებარე ტყე-პარკი გამოცხადდეს ნაკრძალად. ყველა მცურავი საშუალება მკაცრად იქნეს აღრიცხული, დანომრილი, გაფორმებული და საიმედოდ ჩაკეტილი ნავსადგომში. მორიგე ეგერმა უნდა აწარმოოს მცურავი საშუალებების აღრიცხვა.

ჭურიის წყალსაცავზე უნდა დაიხუროს უკანონო ნავსაყუდელები, ყველა მცურავი საშუალება გადატანილ იქნეს ნავსაყუდელ №12-ში. სხვა რაიონებიდან მდინარე ჭურიაზე მისასვლელ სამანქანო გზებზე მოეწყოს ხერგილები.

ანაკლიისა და განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლზე საზღვრები უნდა მოინიშნოს მცურავი დოკებით, სანაპირო გაიწმინდოს ღელვის ნარჩენებისაგან, ნაპირებზე მოეწყოს მზისსაფარებელი ქოლგები.

* * *

გვჯერა, რომ ჩვენი ქალაქისა და რაიონის მოსახლეობა, თითოეული მშრომელი მხარში ამოგვიდგება და ყველაფერს იღონებს ბრაკონიერთა გამოვლენის, ბუნების დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გთხოვთ თქვენი წინადადებები და შენიშვნები გამოგზავნოთ თევზდაცვის ინსპექციაში მისამართით: ქ. ზუგდიდი, ფაზისის ქუჩა 30.

---

ახალი წიგნები

# თ ბ ი ლ ი, უ შ უ ა ლ ო ლ ე ქ ს ე ბ ი

გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა პედაგოგისა და პოეტის ლუღუნი წახნაგიას ლექსების კრებული „სულის სიმფონია“, რომელიც შთაგონებულია მამულის, მშობლიური მიწის, მშობლიური ერის სიყვარულით. ანოტაციაში ვკითხულობთ: „ავტორი სუნთქავს საქართველოს წარსულითა და მომავლის იმედით, ამის ანარეკლია ლექსი „სულის სიმფონია“, რომელიც წიგნის სათაურად გამოუტანია ავტორს“.

პოეტის ლირიკული გმირი უმღერის სიცოცხლეს, სიყვარულს, მშვენიერებას... ავტორი ყოველთვის გულწრფელია და როგორც ვთქვით, მიწიერი ადამიანის გულწრფელობით გადმოსცემს თავის ნაფიქრალს. „სულის სიმფონია“ —პოეტის სულის გამონაშუქი —შორეულად ენათესავება გრანელის სულს.

საინტერესოდ იკითხება ლექსები: „სადღეგრძელო“, „ქარი“, „ნატვრა“, „კოლხური მელოდიები“, „ქართველი დედა“ და სხვა.

კრებულის რედაქტორია ლეილა მესხი.

ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ ლ. წახნაგიას ერთ ლექსს.

## სულის სიმფონია

ლექსი ჯერ უხილავი,
შორეული ხატება,
ციდან მარად მიმზერდა
ზეციური არსება.
ელვისდარად მოვასწარ
ციდან მზის მოტაცება
და მავსებდა სინათლით,
სულის ცისფრად ნათება!
ამოვარდა მზერიდან,
ისე, როგორც ხანძარი
და ერთვოდა ფიქრების
შუქთა ანანათება,
რიალებდა ოქროსფრად
უკვდავების ტაძარი
ელვარებდა ცისფერი,
ცხრა მზის მნათი მნათებად!
უსასრულო სხივები,
თვალთა მზერის სულია,
აღარ არის საშველი
წუთი წამებს იმეტებს.
გადამარჩენს მე ვიცი
ჩემი ერი სრულიად.
ცისფრად აქსოვს ჩემს სულში
საქართველო იმედებს!...

## რაღა მაინცდამაინც სპეკულანტისგან შევიძინოთ?

ერთპარტიულობამ ხალხს სიკეთე ვერ მოუტანა. მრავალპარტიულ ხელისუფლებას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ჭეშმარიტი საქმე აკეთოს თუ თითოეული პარტია ერთად შეეცდება საერთო საზრუნავის მოგვარებას.

აუცილებელია ერთობლივი ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ, რაც ასე მოძალებულია ჩვენს ქალაქში. ხალხს უშაქრობა აწუხებს. საბარათო სისტემა გვტანჯავს, ნახევარ კილოგრამ შაქარს ძლივს ვშოულობთ სპეკულანტები კი 50 კილოგრამ შაქარს 300 მანეთად ყიდიან. ამას უნდა ხედავდნენ იმ ორგანოთა მუშაკები ვისაც ამაზე კონტროლის დაწესება ევალებათ.

თუ რესპუბლიკას შაქრის შემოტანა ძვირი უჯდება, ეს ცნობილი უნდა იყოს ხალხისთვის. ეს უკანასკნელი, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოსგან შეიძენს მას მაღალ ფასებში, რაღა მაინც და მაინც სპეკულანტისა და გამომძალველისგან იყიდოს?

შ. ჭანია,
პედაგოგი.

---

### ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

კომერციული, სპორტული კოოპერატივი „იღბალი“, ყოველ კვირა დღეს, გიწვევთ ასპარეზობაზე, სპორტულ მოკლე ნარდში.

შეჯიბრება ჩატარდება 6 ტურად, ნარდის საერთაშორისო წესებით, ოლიმპიური სისტემით. ყოველ ტურში გამსვლელი ქულა — 3, დამარცხებულები ეთიშებიან ასპარეზობას. დაწესებულია პრიზები:

პირველი ადგილი 6000 (ექვსიათასი) მანეთი.

მეორე ადგილი 3000 (სამი ათასი) მანეთი.

მესამე ადგილი 2000 (ორი ათასი) მანეთი,

მეოთხე ადგილი 1000 (ათასი) მანეთი.

გარდა ამისა ოთხივე პრიზიორი მომდევნო ტურნირზე დაიშვებიან, მონაწილეობისათვის შესატანი თანხის, (300 მანეთი), გადახდის გარეშე.

იჩქარეთ, მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია (64 მონარდე).

პასპორტით რეგისტრაცია და დაწვრილებითი ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9-დან 14 საათამდე, მისამართზე:

ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. №29. ქალაქ ზუგდიდის სპორტსკოლა. ტურნირის ხანგრძლივობა 4-5 საათი.

კოოპერატივის გამგეობა.

---

## კარგი დონე გამოავლინეს

ზუგდიდის სპორტკომიტეტისა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ინიციატივით მშვიდობის პარკის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ზუგდიდის სპორტსკოლების პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რაიონისა და ქალაქის 8 ნაკრებმა გუნდმა. შეჯიბრება ჩატარდა 10 წონით კატეგორიაში. მომზადების კარგი დონე გამოავლინეს რაიონის სპორტსკოლის 1 მოსწავლეებმა. 50 კილოგრამიან წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა შ. ნაჭყებიამ, 38, 32, 36, 45, 65 კილოგრამ წონებში პირველი ადგილები დაიკავეს კ. თორდიამ, ა. ივარდავამ, გ. გვარმიანმა, ზ. აფრასიძემ, მეორე ადგილი დაიკავა ლ. სანაიამ, ხ. ლიპარტიამ.

მომავალშიც წარმატებები ვუსურვოთ თავისუფალი სტილის ნორჩ მოჭიდავეებს, რათა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით გავიდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში სააsპარეზოდ.

გ. ჭითანავა,
სპორსკოლის დირექტორი.

---

### გიწვევთ!

საფირმო მაღაზია „ბორჯომი“, სადაც შეგიძლიათ მიირთვათ და შეიძინოთ საექსპორტო ნატურალური ბორჯომი.

გვეწვიეთ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, გეგეჭკორის ქუჩა №3. (სახანძრო განყოფილების გვერდზე).

---

## ჭითარცა მეგობარი

ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატზე წლების განმავლობაში მიმაგრებულია №2668 ავტოკოლონის მძღოლი ზაურ ლაშხია (ავტომანქანა გაზ—53). მას კომბინატის ყველა მუშაკი თვლის როგორც კოლექტივის ღვიძლ წევრს და მეგობარს. ზაური მართლაც გამოირჩევა მომხიბლავი ადამიანური თვისებებით, უბრალოებით, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი კარგი ადამიანები დამოუკიდებელ საქართველოში.

ე. ლატარია,
პურპროდუქტების კომბინატის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

---

## ა ღ ს ა რ ე ბ ა

მენდე: ერთ წამსაც არ მიცოცხლია,
ო, ღმერთო, ღმერთო. სულთა ნათელო,
უდედაენოდ, უცურტაველოდ,
ურუსთაველოდ, უსაქართველოდ.
დღეს სამომავლოდ სულაც ახალი
გზა ავირჩიე, ნაღდად დავგეშე,
აწი ვერ გავძლებ თავისუფალი—
თავისუფლების მართლაც გარეშე.
წარმოვიდგენ, ო. მიხარია,
ყველა ტკივილი დამიყუჩდება...
დღეს ერთი მედლის ორი მხარეა
საქართველო და თავისუფლება.

შახი ჯალაღონია.

---

ნეკროლოგი[illegible] ...თხოვარი

## სიცოცხლეშივე დაფასებული

...ლგაზრდა არ წასულა ...ნ, არც რაიმე ტრაგიკულ შემთხვევას შეუწყვეტია მისი სიცოცხლე, გარდაიცვალა ხანდაზმული შვილების, შვილიშვილების სიყვარულითა და სითბოთი გულგაჯერებული... სოფლის მიერ სიცოცხლეშივე დაფასებული ოლია ნაყოფია-საჯაია.

ხშირად ადამიანის სიცოცხლეს, მის მიერ გავლილ წლებს აფასებენ იმ რეგალიებით, რაც დროებას შეჰფერის ორდენებით, მედლებით, ჯილდოებით, რაც არ აკლდა ხუთი შვილის დედას ოლია ნაყოფია-საჯაიას.

ადრე დაქვრივებული თავდადებით შრომობდა განარჯიის მეხურის კოლმეურნეობაში. მეუღლე მეორე მსოფლიო ომში დაკარგა. თავად შეძლო ხუთი შვილის გაძღოლა, დედის საპატიო ტვირთის ღირსეულად ტარება.

სოფელი ეთხოვება ღირსეულ ქართველ დედას და წუხილით მიაცილებს უკანასკნელ გზაზე.

თანასოფლელები.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

---

შვილი თინათინი, დები სულიკო, ბედიშა, ლია, ნინელი, ძმა სოსო, მამიდა ნუცა ალანია, დეიდა თამარი ფირცხელავა, სიძეები მიშა ჯოლოგუა, ბონდო აფაქიძე, რძალი აზა ხვიჩია, ძმისწულები: თამუნა, თემური, დისწულები: ზვიადი, ზაზა, ბაჩო. მამიდაშვილები: ნატო, მზია, მზევინარი, მანანა, ზურაბი გრიგოლიები, ვალიკო ფიფია, დეიდაშვილები ქუჩუჩი, ქორა ჩიტაიები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯამბულ ალექსანდრეს ძე ალანია.**

პანაშვიდი 11, 12 ივლისს 19 საათზე, დაკრძალვა 13 ივლისს ს. ობუჯში (წალენჯიხის რაიონი).

---

შვილები ჯანიკო, ნელი, რძლები: თინიკო, იულია. შვილიშვილები: კობა, ზაზა ჭეჟიები, ანჟელიკა, რუსიკო, დათო, ნინო, მანანა ანთიები, ძმისშვილები: არველოდი, გონერი, ლუკია, ეთერი, ანზორი, შალვა, თორნიკე. თატიმა გვარამიები, დისშვილები: ვანიჩკა, ნაზო, გუგუშა კიზუები, ბიძაშვილი ჯაბა გვარამია ოჯახებით იუწყებიან

**ხუტე დიტოს ასულ გვარამიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13 ივლისს. დაკრძალვა 14 ივლისს ზუგდიდი. ქუთაისის ქ. №18.

---

დედა ხატული, მამა მეგონა, მეუღლე ჯილდა, შვილები: ბაჩუკი, ბაკური ოჯახით იუწყებიან

**ბორის მეგონას ძე სტეფანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 ივლისს. დაკრძალვა 13 ივლისს 6 საათზე ოდიშში (სინწა).

---

შვილები: გივი, კარლო, თეზიკო, გულადი, კლარა, და ფეოდოსია, რძლები: ციალა ფელანგია, ლამარა უბირია, ნელი თოლორაია, იმედო გამახარია, ვენერა [illegible] ნინო პაპარაია, სიძეები: ოთარ მესხია, გივი ზაქარაია, სოსო დოლიძე, ბიქტორ ქვარაია, შვილიშვილები: ბორისი, ნანი, ჯონი, გოგიტა, პავლე საჯაიები, მამუკა, მაიხაზ მესხიები, შალუტა ზაქარაია, შვილთაშვილები: ალეკო, ირაკლი დოლიძეები, დისშვილები: ფატული ქიქინო დაგარგულიები, იაშა, ბიჭუნა, პატიკო არნანიები, მაზლი პართე საჯაია, მულები: ოლგა, გუგუშა, ოლია საჯაიები, მზახლები: ლოთი მესხია, თამარა თოლორაია, მაზლიშვილები, მულიშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**ოლია (მაყუ) ნიკოს ასულ ნაყოფია-საჯაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14, 15 ივლისს. დაკრძალვა 16 ივლისს სოფ. განმუხურში.

---

შვილი ათოსი მამფორია, დედა ადინარი, დები: აველინა, ლელა, ძმები: გივი, კანდიკო ნაჭყებიები, დისშვილები: ჯონი, ეკა, ანჟელა ქირიები, ძმისშვილები: ვალტერი, მთვარისა, ნანი, გოჩა, ნინო, დემური, თეა ნაჭყებიები, სიძეები: ადამური, ვახტანგი ქირიები, ზურა აკობია, ვალერი ბაძაღუა, საშა ნარჩემაშვილი, რძლები: დინარა ქანთარია, დარეჯან ცაავა, ხათუნა ჯიქია, მამიდაშვილი თინა კვირკვილია, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ციალა ანდრიას ასულ ნაჭყებიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12, 13 ივლისს. დაკრძალვა 14 ივლისს ს. ოქტომბერში.

---

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80. რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78. მშრომელთა წერილების 2 25 12. რადიორედაქციის 2 47 00.
საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 28 07, ტირაჟი ხ000 შეკ. №2841

ეროვნული ბიბლიოთეკა